

# ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

## XVII თავი

### სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

(განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2022 წ)

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N2) მე-3 მუხლის თანახმად** უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება **სტუდენტური პორტალის (portal.bsu.edu.ge) მეშვეობით, რომელშიც** ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - **spm.bsu.edu.ge** (შემდეგში - „ელექტრონული ჟურნალი“/„ელ. ჟურნალი“). პორტალით სარგებლობისათვის ბსუ-ს დასაქმებულს/სტუდენტს (შემდეგში - „მომხმარებელი“) გადაეცემა შესაბამისი ფუნქციის და როლის მქონე სააღრიცხვო ჩანაწერი (account), რომლითაც ახორციელებს პორტალის მოდულებში ოპერირებას (სხვადასხვა ჩანაწერის შექმნა, რედაქტირება, დათვალიერება და ა.შ.).

ბსუ-ს პორტალის ადმინისტრირების წესი და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/დასაქმებულთა ფუნქციათა აღწერილობა განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N01-08/154 ბრძანებით დამტკიცებული „**ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის წესით**“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N24**).

ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოსიებული პირი ბსუ-ში რეგისტრაციის, პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და **ბსუ-თან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაივლის რეგისტრაციას ბსუ-ს პორტალზე (www.portal.bsu.edu.ge)**. რეგისტრაციის პროცესში სტუდენტი პორტალზე უთითებს: ა) პირად ნომერს (პირადი ნომრის მითითების შემდგომ ავტომატურად ფიქსირდება სახელი და გვარი, ვინაიდან, სტუდენტის მონაცემები უკვე ასახულია პორტალზე); ბ) ტელეფონის ნომერს; გ) მისამართს და დ) ელექტრონული ფოსტის მისამართს (ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის და მისამართის მითითება სავალდებულოა, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია უნივერსიტეტს ესაჭიროება სტუდენტთან სხვადასხვა კომუნიკაციის დასამყარებლად. ამასთან, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხდება სტუდენტის ავტორიზაცია და პაროლის დადასტურება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს ელექტრონული ფოსტა, მას შეუძლია თავისი სურვილისამებრ, უნივერსიტეტის დომენის (@bsu.edu.ge) გამოყენებით შექმნას პირადი ელექტრონული ფოსტა, პორტალის ადმინისტრატორის დახმარებით. აღნიშნული ელ. ფოსტის მისამართი უქმდება, მისი უწყვეტად 5 წლის განმავლობაში გამოუყენებლობის შემთხვევაში).

პორტალზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, სტუდენტის მომხმარებლის სახელით და პაროლით ავტორიზაციის შემთხვევაში, პორტალის მეშვეობით **სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია პორტალის შემდეგი მოდულები**: ა) პირადი პროფილი; ბ) ელექტრონული დოკუმენტები; გ) ჩემი წერილები; დ) წერილი კანცელარიას; ე) ელექტრონული ჟურნალი; ვ) ელექტრონული სწავლება; ზ) ელექტრონული

ბიბლიოთეკა; თ) დასაქმება; ი) კულტურა და სპორტი; კ) საერთო საცხოვრებელი; ლ) კარიერული ოფისი; მ) სტუდენტური სერვისები.

სტუდენტის მოხოვნის შესაბამისად სტუდენტური პორტალის მეშვეობით გაიცემა ელექტრონულად (ავტომატურად, ონლაინ) სასწავლო ბარათის და შესაბამისი ცნობები (ცნობის ტიპი - სტანდარტული, სწავლის საფასურის GPA-ს, საშუალო არითმეტიკული ქულის მითითებით ან/და სამხედრო კომისარიატში წარსადგენად და სხვა);

**პორტალზე/სისტემაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მომხმარებელი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია/შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელი/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი/სტუდენტი) ვალდებულია წარმოადგინოს აღნიშნულის შესახებ წერილობითი ინფორმაცია (სტუდენტმა - სტუდენტური პორტალის - [portal.bsu.edu.ge](http://portal.bsu.edu.ge) მეშვეობით, ხოლო დასაქმებულმა - ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად).**

სასწავლო პროცესის მართვისა და ნაშრომის ორიგინალობის შეფასების სისტემების ძირითადი ადმინისტრატორია ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, ხოლო ადმინისტრირებას მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.